ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1656854

ნომერი: AR1273952

თარიღი : 17.12.2014

გაცემის თარიღი : 24.12.2014

გაცნობის თარიღი : 25.12.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ანა პოლიტკოვსკაია , N 41 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა კობალაძე პ/ნ 01009003790
- ვაჟა-ფშაველას მე-7კვ მე-7 კორპ. ბინა 36

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1273952 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.05.005.048) შლაგბაუმის მოწყობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

მრავალბინიანი შენობა-ნაგებობების ეზოებში შლაგბაუმების მოწყობა საქართველოში მოქმედი „სახანძრო უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნების შესაბამისად დაუშვებელია, ვინაიდან დააბრკოლებს სახანძრო-სამაშველო ტექნიკის მანევრირებას. ასევე, სასწრაფო სამედიცინო და სხვა სამსახურების მომსახურების შესაძლო შეფერხების გამო, მოცემულ ტერიტორიის რაიმე სახით შემოფარგვლა (თქვენს შემთხვევაში შლაგბაუმის განთავსება) არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, არ მიაჩნია შესაძლებლად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.